

ტესტი გეოგრაფიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



- კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-23.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. როდის გახდნენ ცენტრალური (შუა) აზიის ქვეყნები სუვერენული სახელმწიფოები?

ა) XX საუკუნის დასაწყისში, პირველ მსოფლიო ომამდე;

ბ) პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში;

გ) XX საუკუნის 60-იან წლებში;

დ) XX საუკუნის 90-იან წლებში.

2. რომელ სახელმწიფოზე გადის გრინვიჩის მერიდიანი?


ა) ირლანდიაზე;

ბ) ესპანეთზე;

გ) ბელგიაზე;

დ) შვეიცარიაზე.

3. რომელი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატებია ს.გ. 20° და დ.გ. 30°?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

4. რომელი ხელსაწყო არ გამოდგება ქარზე დაკვირვებისათვის?

ა) ანემომეტრი;

ბ) ანემოგრაფი;

გ) ფლუგერი;

დ) ექოლოტი.

5. სად არის თავმოყრილი დედამიწის მტკნარი წყლის უდიდესი მარაგი?

ა) მიწისქვეშა წყლებში;

ბ) ტბებში;

გ) მყინვარებში;

დ) მდინარის წყლებში.

6. რომელია ჩამქრალი ვულკანი?

ა) შხარა;

ბ) უშბა;

გ) მყინვარწვერი;

დ) ტინოვროსო.

7. რომელი ბუნების ძეგლი არ მდებარეობს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში?




ა) ალაზნის ჭალა



ბ) ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი



გ) როშკის ლოდები




დ) არწივის ხეობა

8. რას ასახავს მოცემული რუკა?



- ა) მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვეს;
- ბ) იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების მდებარეობას;
- გ) სეისმურად აქტიური ადგილების მდებარეობას;
- დ) მოსახლეობის მიგრაციული აქტივობის ადგილებს.

9. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებია აღნიშნული რუკაზე?



ა) ოპეკის;

ბ) ნატოს;

გ) სოკის;

დ) გაეროს.

10. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სიმბოლოა 5 სხვადასხვა ფერის რგოლი?

ა) სოკის;

ბ) ოპეკის;

გ) ბისეკის;

დ) იუნესკოს.

11. მეცხოველეობის რომელი დარგი არ არის განვითარებული თურქეთში?

ა) მეფუტკრეობა;

ბ) მეფრინველეობა;

გ) მეცხვარეობა;

დ) მეღორეობა.

12. რომელი სასარგებლო წიაღისეულით არის განსაკუთრებით მდიდარი რურის აუზი გერმანიაში?


ა) ქვანახშირით;

ბ) ნავთობით;

გ) ტორფით;



დ) ბუნებრივი აირით.

13. რომელი რელიგიის შესახებ არის მოცემული ინფორმაცია რუკაზე?




- ა) სინტოიზმის;
- ბ) დაოსიზმის;
- გ) ბუდიზმის;
- დ) იუდაიზმის.

14. რომელი სახელმწიფოს მონაცემებია ასახული დიაგრამებზე?



- ა) საფრანგეთის;
- ბ) გერმანიის;
- გ) გაერთიანებული სამეფოს;
- დ) აშშ-ის.

15. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება დიაგრამის ლეგენდას?



- ა) 1- მრეწველობა, 2-სოფლის მეურნეობა, 3 - მომსახურება;
- ბ) 1- მომსახურება, 2- სოფლის მეურნეობა, 3-მრეწველობა;
- გ) 1-სოფლის მეურნეობა, 2-მრეწველობა, 3-მომსახურება;
- დ) 1- მომსახურება, 2-მრეწველობა, 3-სოფლის მეურნეობა.

16. საქართველოს რომელი სამხარეო ერთეულის მოსახლეობაა ყველაზე მცირერიცხოვანი?

ა) გურიის;

ბ) აჭარის;

გ) მცხეთა-მთიანეთის;

დ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის.

17. ჩამოთვლილთაგან რომელია სკანდინავიის ქვეყანა?

ა) შვედეთი;

ბ) ბელგია;

გ) შვეიცარია;

დ) ირლანდია.

18. რა საერთო აქვთ ამ სახელმწიფოებს: გერმანია, ჩინეთი, ბრაზილია, ავსტრალია?

ა) ოთხივე ქვეყანა რესპუბლიკაა;

ბ) ოთხივე ქვეყანა ბირთვული იარაღის მფლობელია;

გ) ოთხივე ქვეყნის მთავარი ფინანსური ცენტრი არ არის დედაქალაქი;

დ) ოთხივე ქვეყანა, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ასევე ფართობით, შედის მსოფლიოს ქვეყნების ოცეულში.

19. საერთაშორისო ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილის მოსაზრებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში კრიზისია. მსოფლიოში დაძაბულობის განმუხტვის თვალსაზრისით იგი თავის ფუნქციებს ეფექტურად ვეღარ ასრულებს. რა არის ექსპერტთა აზრით კრიზისის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი?

ა) გაეროში ქვეყნების რაოდენობა;

ბ) გაეროს უშიშროების საბჭოში ქვეყნების რაოდენობა;

გ) უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მხრიდან ვეტოს უფლების არაჯეროვანი გამოყენება;

დ) გაეროს უმაღლესი ხელმძღვანელი პირების მიკერძოება საკითხების განხილვისას.

20. რომელი სახელმწიფოს მეთაური არ არის გაერთიანებული სამეფოს მონარქი?

ა) ირლანდიის;

ბ) ავსტრალიის;

გ) კანადის;

დ) ახალი ზელანდიის.

21. რომელი ბუნებრივი რესურსის მოპოვებაა შესაძლებელი ღია კარიერული წესით?

- ა) ნავთობის;
- ბ) ქვანახშირის;
- გ) ბუნებრივი აირის;
- დ) მინერალური წყლის.

22. სად გვხვდება ლავური ნაკადი?

- ა) რაჭის ქვაბულში;
- ბ) კოლხეთის დაბლობზე;
- გ) შირაქის ვაკეზე;
- დ) წალკის პლატოზე.

23. რომლის შექმნაშია გამოყენებული მეტამორფული წარმოშობის ქანი?


ა)



ბ)



გ)



დ)





- რუკის ანალიზი - დავალება № 24-25.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

24. (4 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა ცხრილზე; კითხვებზე

საფრანგეთის რეგიონები

1	ილ-დე-ფრანსი	10	ოქსიტანია
2	ნორმანდია	11	ოვერნი - რონა -ალპები
3	ბრეტანი	12	პროვანსი - ალპები - ლაჟვარდოვანი ნაპირი
4	ო-დე-ფრანსი	13	კორსიკა
5	გრანდ-ესტი	14	საფრანგეთის გვიანა
6	ლუარის მიწები	15	მარტინიკა
7	ცენტრი	16	გვადელუპე
8	ბურგუნდია - ფრანშ-კონტე	17	რეუნიონი
9	ახალი აკვიტანია	18	მაიოტა

გადასვლა [რუკაზე](#); [კითხვებზე](#)

24.1. (1 ქ.) რომელ რეგიონში მდებარეობს საფრანგეთის დედაქალაქი?

24.2. (1 ქ.) რამდენი ზღვისიქითა დეპარტამენტი აქვს საფრანგეთს?

24.3. (1 ქ.) რომელ სრუტეში და რომელ ქალაქებს შორის მდებარეობს კ. დიდი ბრიტანეთისა და კონტინენტის დამაკავშირებელი წყალქვეშა სარკინიგზო ხაზი (ე. წ. ევროგვირაბი)?

24.4. (1 ქ.) რომელია საფრანგეთის უმაღლესი მწვერვალი და რომელ რეგიონში მდებარეობს იგი?

გადასვლა რუკაზე: [ცხრილზე](#)


25. (4 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

25.1. (1 ქ.) ახსენით, რუკაზე დატანილი რომელი მდინარის დინების სიჩქარეა უფრო მეტი?

25.2. (1 ქ.) ახსენით, რა მიუთითებს სოფ. ცარციეთის მიდამოებში ქარის ენერჯის გამოყენებაზე?

25.3. (1 ქ.) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით ახსენით, რომელია მდ. ჭკუდის მარჯვენა შენაკადი?

25.4. (1 ქ.) რუკაზე დატანილ რომელ მონაკვეთს შეესაბამება მოცემული პროფილი?




- ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 26-34.

ინსტრუქცია


ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

26. (1 ქ.) მსოფლიოში არსებული ტბებიდან რომელშია თავმოყრილი მტკნარი წყლის ყველაზე დიდი მარაგი?

27. (1 ქ.) ახსენით, წლის განმავლობაში რომელ წერტილში მოვა უფრო მეტი რაოდენობის ატმოსფერული ნალექი?




28. (1 კ.) რომელი სტიქიური მოვლენაა ნაჩვენები ილუსტრაციაზე?



29. (2 კ.) განსაზღვრეთ ერთი გეოლოგიური და ერთი მეტეოროლოგიური ფაქტორი, რის გამოც წარმოიქმნება ფოტოზე ნაჩვენები მოვლენა.



30. (2 კ.) გაანალიზეთ რუკებზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა კითხვებზე

30.1. (1 ქ.) ნახ.1-ზე ლეგენდაში მითითებული ფერების მიხედვით დაასახელეთ ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენები, რომლებიც სამხრეთ ამერიკის აღნიშნულ ქვეყანაში ოფიციალური ენის სტატუსით სარგებლობს (შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი).

სახელმწიფო	ენა
<i>ნიმუში:</i>	
<i>საფრანგეთის გვიანა (3)</i>	<i>ფრანგული</i>
არგენტინა (1)	
ბრაზილია (2)	
გაიანა (5)	


30.2. (1 ქ.) რას ასახავს ნახ. 2-ზე მოცემული რუკა?

31. (3 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბორჯომ-ბაკურიანში ზაფხულის საშუალო ტემპერატურამ დაახლოებით 1°C -ით მოიმატა და გაიზარდა ცხელი დღეების რაოდენობა. ატმოსფერულმა ნალექებმა 14%-ით დაიკლო, მაგრამ გაიზარდა უხვნალექიანი დღეების რაოდენობა (თავსხმა წვიმებით).

- მოცემულ რაიონში რა ნეგატიური ბუნებრივი პროცესების განვითარებას შეუწყობს ხელს ტექსტში აღნიშნული კლიმატური ცვლილებები? დაასახელეთ სამი პროცესი.

32. (4 ქ.) გაანალიზეთ N ქალაქის კლიმატური დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა კითხვებზე

32.1. რომელია ყველაზე ცივი თვე მოცემულ ქალაქში?

ა) დეკემბერი; ბ) იანვარი; გ) თებერვალი; დ) მარტი.

32.2. რომელ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს მოცემული ქალაქი?

ა) ეკვატორულ; ბ) ტროპიკულ; გ) სუბტროპიკულ; დ) სუბარქტიკულ.

32.3. (1 ქ.) გამოთვალეთ რას უდრის მოცემულ ქალაქში ზაფხულის საშუალო ტემპერატურა? აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

32.4. (1ქ.) მოცემული ქალაქი მდებარეობს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. დაასაბუთეთ ეს ფაქტი მოცემული დიაგრამიდან გამომდინარე?

[გადასვლა დიაგრამაზე](#)

33. (6 ქ.) გაანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მდ. მტკვრის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის ხეობას მასშტაბური სტიქა დაატყდა თავს, რომელმაც მდინარის ჭალაში არსებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა გაანადგურა. სამაშველო სამსახურის თანამშრომლების თავდადებული მოქმედების მიუხედავად, სტიქიას 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო ზარალმა 50 მილიონ ლარს გადააჭარბა.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პროცესში ქალაქის მოსახლეობა აქტიურად იყო ჩაბმული. შეიქმნა სტუდენტ-მოხალისეთა ჯგუფები, რომელთა საქმიანობას სამაშველო სამსახური უწყვეტად ორგანიზებას.

მსგავსი სტიქიური მოვლენების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრებზე სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებმა (გეოგრაფები, ჰიდროლოგები, გეოლოგები, ინჟინრები და სხვ.) წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები. სპეციალისტების აზრით, მდინარის ხეობაში აუცილებელია გარკვეული ტიპის ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩატარება, რათა შესაძლებელი იყოს მსგავსი ტიპის სტიქიური მოვლენის შედეგების მნიშვნელოვანი შერბილება. ასევე განიხილეს საკითხი მდინარის ხეობაში წინასწარი გაფრთხილების თანამედროვე სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც გულისხმობს ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სადგურებისა და საგუმბაგოების სისტემის შექმნას მდინარის ხეობის გასწვრივ, რომელიც ავტომატურად გადასცემს ინფორმაციას გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

[გადასვლა ფოტოებზე; კითხვებზე](#)



გადასვლა ტექსტზე: კითხვებზე

33.1. რომელი მდინარის ხეობაში განვითარდა აღნიშნული სტიქიური მოვლენა?

ა) გლდანისხევის; ბ) ვერეს; გ) ლოჭინის; დ) ლელვთახევის.

33.2. (1ქ.) რომელი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენა განვითარდა ტექსტში ნახსენები მდინარის ქვემო წელში?

33.3. (2ქ.) დაასახელეთ ამ სტიქიური მოვლენის გამომწვევი ორი ბუნებრივი ფაქტორი.

33.4. (1ქ.) დამდგარი შედეგებიდან რომლის აცილება იქნებოდა შესაძლებელი გაფრთხილების თანამედროვე სისტემის არსებობის შემთხვევაში?

33.5. (1ქ.) დაასახელეთ დედამიწაზე მიმდინარე გლობალური პროცესი, რის გამოც გახშირდა მსგავსი ბუნებრივ-სტიქიური მოვლენები.

[გადასვლა ტექსტზე; ფოტოებზე](#)

34. (9 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

რაჭა

რაჭა გაერთიანებულია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ერთეულში. მისი ფართობი საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 4,09 %-ს შეადგენს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 64 დასახლება ზღ.დ. 800 მ-ზე მაღლა, ხოლო ონის მუნიციპალიტეტის 63 დასახლება ზღ.დ. 1000 მ-ზე მაღლა მდებარეობს. დაბალმთიანეთში გაბატონებულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა ზომიერად ცივი ზამთრითა და შედარებით ცხელი ზაფხულით. მაღალმთიანი ზონისათვის უხვთოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, რაჭის მოსახლეობა 17 316 კაცს შეადგენდა. აქედან 65 წლისა და უფროსი ასაკის პირების წილი მოსახლეობაში: ონის მუნიციპალიტეტისთვის 30,1% (მთლიანი მოსახლეობა: 6130 კაცი), ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის 33,8%-ს (მთლიანი მოსახლეობა: 9139 კაცი) და ქ. ამბროლაურისთვის 18,8%-ს (მთლიანი მოსახლეობა: 2047 კაცი) შეადგენს.

რეგიონში არის ლითონური, არალითონური წიაღისეული და საშენი მასალები. მათ შორის: ქვიშა-ხრეში, კირქვა, ქვანახშირი, თაბაშირი, დიაბაზი, ბარიტი, დარიშხანი, მანგანუმი და ოქრო. ინვესტიციების არარსებობის გამო წიაღისეულის დიდი ნაწილის მოპოვება არ ხდება.

რეგიონი მდიდარია მინერალური წყაროებით. მდინარე ჭანჭახის ხეობაში, ზღ. დ. 1520 მეტრზე, მნიშვნელოვანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მდებარეობს. აქ 20-მდე სახის მინერალური წყაროა, რომლებიც შეიცავს კალციუმს, ნატრიუმს, რკინას, მაგნიუმს, ქლორს და სხვა მინერალებს. კურორტს სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პოტენციალიც გააჩნია.

[გადასვლა ცხრილზე: კითხვებზე](#)

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის მოსახლეობა¹

	1989	2002	2014
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	17 100	16 000	9 200
ქალაქი ამბროლაური	3 000	2 500	2 100
დაბა ხარისთვალა	26	4	2
ონის მუნიციპალიტეტი	12 300	9 300	6 200
ქალაქი ონი	5 500	3 300	3 000
ცაგერის მუნიციპალიტეტი	17 200	16 600	10 400
ქალაქი ცაგერი	2 000	1 900	1 600
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	11 200	9 000	4 500
დაბა ლენტეხი	2 000	1 700	1 500

გადასვლა ტექსტზე: [კითხვებზე](#)

¹ ციფრებთან ოპერირების გაადვილების მიზნით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები დამრგვალებულია.

- 34.1. ტექსტში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, სად უტოლდება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 3089 კაცს?
ა) ონის მუნიციპალიტეტში; ბ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტში; გ) ქალაქ ამბროლაურში; დ) მთლიანად რაჭაში.
- 34.2. (1ქ.) რომელი ქედი გამოჰყოფს რაჭას ქვემო სვანეთისაგან?
- 34.3. (1ქ.) ტექსტიდან გამომდინარე, ჩამოთვალეთ რეგიონში არსებული ლითონური წიაღისეული?
- 34.4. (1ქ.) რომელია რაჭის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეული?
- 34.5. (1ქ.) გამოთვალეთ, დაახლოებით რამდენ კვ.კმ-ს შეადგენს რაჭის ფართობი (აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი);
- 34.6. (2ქ.) რომელ კურორტზეა საუბარი ტექსტის ბოლო აბზაცში? განსაზღვრეთ ერთი გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ კურორტში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებას?
- 34.7. (2ქ.) ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ააგეთ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკის ამსახველი სვეტოვანი დიაგრამა.

[გადასვლა ტექსტზე: ცხრილზე](#)